



შემოქმედებითი გაერთიანება „გიმნასიონი“-სთვის შემოქმედებითი თვალსაზრისით მეტად დატვირთული იყო 2022 წლის გაზაფხულის თვეები. „გიმნასიონი“-ს პროექტის ფარგლებში ნაყოფიერად იმუშავეს სტუდენტებმა, შედეგად უნივერსიტეტის საკონფერენციო დარბაზში გაკეთებულ იქნა სამი მოხსენება:

18 მარტი - სტომატოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტის **ალი აბასის** მოხსენებამ „განსხვავებული ხედვა სტომატოლოგიაში, აღმოჩენები და მიღწევები“ დიდი ინტერესი გამოიწვია. მან მოგვანოდა ინფორმაცია, რომ ბიონიუნერის ტექნოლოგიებით შესაძლებელია დაზიანებული, განადგურებული და დაკარგული კბილების ნაცვლად ახალი, სრულფასოვანი კბილების გაზრდა. მან გაგვაცნო ინფორმაცია კოლუმბიის, იაპონიის და უკრაინის უნივერსიტეტების სამეცნიერო კვლევითი ცენტრების



ინოვაციური მიღწევების შესახებ.

15 აპრილი - მოხსენებით, „ადამიანის გენეტიკური ცენტრები“, გამოვიდა მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტი **სუჯიტ ჯამესჰაი ვაგჰელა**. მოხსენებელმა განმარტა, რომ თითოეული ჩაკრა უნიკალურია – მას გააჩნია თავისი ფერი, ბგერა და სტიქია და მისი მემკვიდრით ადამიანი იღებს სასიცოცხლო ენერჯის სამყაროსგან, ბუნებისგან, ახლომყოფი ადამიანებისგან და ნივთებისგანაც კი, და რომ ყველა ჩაკრა პასუხისმგებელია ენერჯის მიღებაზე.

20 მაისი - ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის სტუდენტმა **გიორგი კორაშვილმა** წარმოადგინა მოხსენება-„მედიცინა ძველ ეგვიპტეში“. მოხსენებელმა აუდიტორიას გააცნო ძვ. წ. 1500 წლით დათარიღებული ებერსის პაპირუსი, რომელშიც აღწერილია სხვადასხვა დაავადების მკურნალობის რეცეპტები, დიაგნოსტიკა და რჩევები. ასევე, მან ისაუბრა ძველი ეგვიპტის ტაძრების სვეტებზე და სტელეებზე ამოტიფურული იეროგლიფების შესახებ, რომლებიც სამედიცინო სახის ცნობებს შეიცავენ და ა.შ.



ამ ღონისძიებებს ესწრებოდნენ პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები. მოხსენებების შემდეგ გაიმართა საინტერესო დისკუსიები.



2015 წელს გავხდით უნივერსიტეტ გეომედის სტუდენტები და მალევე მივხვდით, რომ სწორი არჩევანი გავაკეთეთ, რადგან გეომედში დაგვხვდა თბილი, მეგობრული და ეფექტური სასწავლო გარემო, პროფესიონალთა გუნდით და კვალიფიკური ლექტორებით.

2022 წლის მაისის თვეში დავასრულეთ სარეზიდენტო პროგრამა თერაპიულ სტომატოლოგიაში: შევისწავლეთ საექიმო ეთიკა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები. ჩვენს პროფესიულ წინსვლაში დიდი შრომა, ენერჯია და ცოდნა ჩადეს პროგრამის ხელმძღვანელმა, პროფესორმა თამარ ოქროპირიძემ, კურსის ხელმძღვანელებმა: მარია კალანდაძემ და ცირა დანელიამ. მნიშვნელოვანია ბატონ ალექსო ლეონიძისა და ქალბატონ ხათუნა ტვილიძის წვლილი, რომლებმაც



მოსვლის დღიდანვე თავი ოჯახში გვაგრძობინეს და ჩვენ გვერდით იდგნენ მთელი ამ დროის განმავლობაში. სწორედ ამ ადამიანების დახმარებით და გვერდში დგომით შევძელით უნივერსიტეტ გეომედის სტომატოლოგიის ფაკულტეტის და სარეზიდენტო კურსის დამთავრება და გეომედის საუნივერსიტეტო სტომატოლოგიურ კლინიკაში დასაქმება, როგორც სრულფასოვანი ექიმები. ასევე, გვინდა მადლობა გადავუხადოთ გიორგი მოდებაძეს - ამავე უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს და დღეს უკვე გეომედის სტომატოლოგიური კლინიკის მთავარ ექიმს, რომელმაც ანალოგიური გზა განვლო და რომელიც გვაძლევს მაგალითს, თუ როგორ ფასდება შრომა.

მადლობას ვუხდით უნივერსიტეტის რექტორს, პროფესორ მარინა ფირუცხალავას, ადმინისტრაციას, თითოეულ იმ ადამიანს, ვინც წვლილი შეიტანა ჩვენს განვითარებასა და პროფესიულ წინსვლაში.



თურქეთის ქალაქ სტამბულში, უსკუდარის უნივერსიტეტში 2022 წლის 16-18 მაისს, ჩატარდა საერთაშორისო კომუნიკაციის დღეების მეცხრე სიმპოზიუმი: **“Communication Studies in the Digital Age”**. სიმპოზიუმში მონაწილეობდნენ კომუნიკაციის მენეჯმენტის, საზოგადოებასთან ურთიერთობის, მედია კომუნიკაციების სპეციალისტები და პროფესორები მსოფლიოს ნამყვანი უნივერსიტეტებიდან. უნივერსიტეტ გეომედიდან მინვეულნი იყვნენ პროფესორები: თორნიკე ხომტარია და არჩილ კაპანაძე.

პროფესორმა თორნიკე ხომტარიამ წარადგინა თემა **„Utilising Consumer-Based Brand Equity Model to Investigate Brand Loyalty and Extensions in Football Clubs”**, რომელიც ეხებოდა საფეხბურთო კლუბებში ბრენდის ელემენტების კვლევას და მასში განხილული იყო ის ფაქტორები, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ ბრენდის ლოიალობასა და



შესყიდვების განზრახვაზე. პროფესორ არჩილ კაპანაძის მოხსენება: **„Human Type Artificial Intelligence, Version 1.0”**, ეხებოდა ხელოვნური ინტელექტის შექმნას ინდუქციური ლოგიკის ოპერატორის გამოყენებით მოტივაციური, იერარქიული ფილტრების საშუალებით.

აღსანიშნავია, რომ ორივე მოხსენებამ დიდი მონაწილეობა დაიმსახურა დამსწრე საზოგადოების მხრიდან. განხილული თემების გარშემო გაიმართა დისკუსია. ასევე, დაისახა მომავალი სათანამშრომლო გეგმები ნამყვან უნივერსიტეტებთან.

ბიბლიოთეკის ინიციატივით 2022 წლის 5 აპრილს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის საკონფერენციო დარბაზში, ჩატარდა ტრენინგი თემაზე: „სამეცნიერო ელექტრონული ბაზების გამოყენება“, სტომატოლოგიის, ჯანდაცვის ეკონომიკის და მენეჯმენტის, ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისათვის.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილემ ნანა ცერცვაძემ 14 აპრილს მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებს ჩაუტარა ტრენინგი შემდეგ საკითხებზე:


- ✓ სამეცნიერო ბაზების მნიშვნელობა და მათზე წვდომის შესაძლებლობები,
- ✓ EBSCO-სა და ELSEVIER-ის ბაზებში წყაროების მოძიების და გამოყენების პრინციპები.

ასევე, 20 მაისს ნანა ცერცვაძესა და მედიცინის ფაკულტეტის პირველი კურსის ინგლისურ ენოვან სტუდენტებს შორის გაიმართა ონლაინ ტრენინგი, რომლის მიზანია იყო სტუდენტებისათვის ბიბლიოთეკის სერვისების შესახებ ინფორმაციის მიწოდება. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო საერთაშორისო სამეცნიერო ბაზების გამოყენებისა და მათზე წვდომის საკითხებს. ბიბლიოთეკის წარმომადგენელმა დეტალურად ისაუბრა მონაცემთა ბაზებში ძიების გზების შესახებ და უპასუხა სტუდენტების მიერ დასმულ შეკითხვებს.

2022 წლის 5 მაისს გაიმართა ვებინარი თემაზე: **Elsevier professional tools for working with scientific and technical information. Effective search in ScienceDirect and Scopus.** Elsevier-ის ძირითადი საინფორმაციო გადაწყვეტილებების კონსულტანტმა საქართველოში - **Maxim M. Filatov**-მა ისაუბრა შემდეგ საკითხებზე:

- Elsevier-ის სამეცნიერო, ტექნიკურ და სამედიცინო ინფორმაციაზე მუშაობისთვის საჭირო ინსტრუმენტები და ახალი შესაძლებლობები;
- ეფექტური ძიებისა და მუშაობის საფუძვლები ScienceDirect-სა და Scopus-ში;
- ძიების ძირითადი პრინციპები და ახალი ფუნქციები;
- რატომ არის მნიშვნელოვანი სამეცნიერო ინფორმაციის ძიებისას Elsevier-ის რესურსების გამოყენება და ა.შ.

სამუშაო ენა იყო ინგლისური. ვებინარს ესწრებოდნენ უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები. შეხვედრის ბოლოს **Maxim M. Filatov**-მა უპასუხა დამსწრეთა შეკითხვებს. ვებინარის მონაწილეებს გადაეცათ სერტიფიკატები.



პლაგიატის პრევენციისა და აღნიშნულ საკითხზე ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით, 19 მაისს ბიბლიოთეკის ინიციატივით გაიმართა ონლაინ ტრენინგი თემაზე: ანტიპლაგიატის პროგრამა "Ouriginal"-ის განხილვა. ტრენინგი ჩაატარა „საქართველოს ბიბლიოთეკების ინტეგრირებული საინფორმაციო ქსელის კონსორციუმი 2017“-ის წარმომადგენელმა, თსუ ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის ტრენინგ ცენტრის პედაგოგმა - თეონა შაპიაშვილმა. მან დეტალურად ისაუბრა, თუ როგორ მუშაობს მსგავსების ამომცნობი პროგრამა, რა არის მისი არსი და ფუნქცია, როგორ ხდება ნაშრომის შემოწმება და მიღებული შედეგების ანალიზი. ტრენინგი ჩატარდა აკადემიური პერსონალისა და მაგისტრატურის სტუდენტებისათვის. შეხვედრის ბოლოს გაიმართა დისკუსია კითხვა-პასუხის რეჟიმში.

ჯანდაცვის ეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი თორნიკე ხოშტარია აკადემიური პერსონალის გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ჩრდილოეთ მაკედონიის რესპუბლიკის პარტიორ უნივერსიტეტს, „ამერიკულ კოლეჯს“ სტუმრობდა. ვიზიტის მიზანი იყო ორ უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობის გაღრმავება სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობის კუთხით. სწორედ აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით გაიმართა შეხვედა მას და მასპინძელი უნივერსიტეტის რექტორს მარჯან ბოჯაჯივისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანს, პროფესორ სნეჟანა ჰრისტოვას შორის. შეხვედრას ასევე ესწრებოდა ჩრდილოეთ მაკედონიის საპატიო კონსული საქართველოში. გარდა შეხვედრებისა, პროფესორმა თორნიკე ხოშტარიამ ჩაატარა ლექციები თემაზე: **"Company and Marketing Strategy Partnering to build Consumer Relationship"**, რამაც სტუდენტების მოწონება დაიმსახურა.



2022 წლის 28 მაისს, სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით და ადმინისტრაციის მხარდაჭერით მოეწყო საუნივერსიტეტო ტური ყაზბეგში. სტუდენტებმა დაათვალიერეს იქ არსებული ისტორიულ-კულტურული ძეგლები და ღირსშესანიშნაობები. ტურის ბოლოს გაიმართა ტრადიციული პიკნიკი, სადაც სტუდენტებმა სასიამოვნო დრო გაატარეს სხვადასხვა გასართობი აქტივობებით. ექსკურსია შემეცნებითი ხასიათისა იყო და სტუდენტთა გაცნობა-დაახლოებას ისახავდა მიზნად.



2022 წლის 5-8 აპრილს უნივერსიტეტ გეომედში ონლაინ რეჟიმში ჩატარდა ღია კარის დღეები აბიტურიენტებისათვის. მათ ამომწურავი ინფორმაცია მიიღეს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებსა და სასწავლო პროცესზე; მოუსმინეს და კითხვები დაუსვეს ფაკულტეტების დეკანებს, პროგრამის ხელმძღვანელებს, ბიბლიოთეკის დირექტორსა და სერვის ცენტრის ხელმძღვანელს. ასევე, ლაივ რეჟიმში დაათვალიერეს უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და კლინიკები.

შეხვედრები ძალიან სასარგებლო და ინფორმაციული იყო აბიტურიენტებისთვის.

გეომედის სტომატოლოგიურ კლინიკაში ტარდიციადაა ქცეული სტომატოლოგიის ფაკულტეტის მე-3, მე-4 და მე-5 კურსის სტუდენტებთან შეხვედრა კლინიკური „5 წუთიანი“ ქეისების განხილვის მიზნით.



სტომატოლოგიური კლინიკის ექიმები ამ შეხვედრებზე განიხილავენ კლინიკური დაფიქსირებულ საინტერესო შემთხვევებს თერაპიულ, ქირურგიულ, ორთოპედიულ და ორთოდონტიულ სტომატოლოგიაში. „5 წუთიანი“ შეხვედრებზე კლინიკური ქეისების განხილვის პროცესი ძალიან სასარგებლოა სტუდენტებისათვის, რადგან ისინი იმდირებენ პრაქტიკულ და თეორიულ ცოდნას.



2022 წლის 1 აპრილს უნივერსიტეტ გეომედის საკონფერენციო დარბაზში ჩატარდა სტუდენტთა შიდა საუნივერსიტეტო ჩემპიონატი ჭადრაკში. ჩემპიონატის გამარჯვებულები გახდნენ: I ადგილი – **პანკილ ნაიმეშვილე პარიხი**; II ადგილი – **კუმარ კოპალი**; III ადგილი – **ანკიტი**.

გამარჯვებულები უნივერსიტეტ გეომედს წარადგინენ საქართველოს სტუდენტთა უნივერსიადაზე.

უნივერსიტეტ გეომედს სტუმრობდა სიელცეს საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარული მეცნიერებების უნივერსიტეტის პროფესორი ბართლომე სუხოლოლსკი. უნივერსიტეტის რექტორთან შეხვედრის დროს განიხილეს სამომავლო თანამშრომლობის საკითხები. კერძოდ, ერთობლივი კვლევითი პროექტების განხორციელება, სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის გაცვლითი პროგრამები და "Erasmus +"-ის ფარგლებში თანამშრომლობა.